სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 თებერვალი, 2024 წელი

ბრძანება № 01-10/10

ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის
ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საქართველოს შრომის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების (დანართი N3 - უმაღლესი საანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები), ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/41, 08.09.2023წ.), ბსუ-ს შინაგანაწესის (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N02, 09.09.2011წ.), ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/58, 24.12.2021წ.), ,,ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის დებულების" (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/30, 04.07.2023წ.) და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N13/02/2024, MES 4 24 0000153653) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს **ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები,** წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიულ ცნობარში და სტრუქტურული ერთეულების ველში).
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ. დიასამიძე

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2024 წლის 15 თებერვლის N 01-10/10 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის პერსონალისათვის დადგენილი ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში – „უნივერსიტეტი" ან „ბსუ") დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - იურიდიულ დეპარტამენტის (შემდგომში - „დეპარტამენტის") დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებისათვის ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შეიძლება დეპარტამენტში დასაქმებისათვის განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.
3. **დეპარტამენტის უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**
   3.1. **განათლება:** სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ან მასთან გათანაბრებული ხარისხი/იურისტის კვალიფიკაცია);
   3.2. **სამუშაო გამოცდილება:** სპეციალობით მუშაობის **არანაკლებ 5 წლის** გამოცდილება, მათ შორის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის **არანაკლებ 2 წელი** (უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში სპეციალობით მუშაობის გამოცდილებას ან/და მოსამართლის/ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე პირს).
   3.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**
   3.3.1. საქართველოს კონსტიტუცია;
   3.3.2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი;
   3.3.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
   3.3.4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
   3.3.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
   3.3.6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
   3.3.7. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";
   3.3.8. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი;
   3.3.9. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";
   3.3.10. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";
   3.3.11. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
   3.3.12. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
   3.3.13. „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

3.3.14. „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანება;

3.3.15. „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანება;

3.3.16. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანება;

3.3.17. „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანება;

3.3.18. „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანება;

3.3.19. ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა;

3.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - არანაკლებ B1 დონე (სასურველია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა და სხვა უცხო ენის ცოდნაც);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

4. დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

4.1. **განათლება:** <u>არანაკლებ სამართლის</u> ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან იურისტის კვალიფიკაცია;

4.2. **სამუშაო გამოცდილება:** <u>სპეციალობით</u> მუშაობის <u>არანაკლებ 2 წლის</u> გამოცდილება <u>(უპირატესობა ენიჭება</u> უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში სპეციალობით მუშაობის ან ადვოკატად მუშაობის გამოცდილებას ან/და მოსამართლის/ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე პირს).

4.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები** - წინამდებარე დოკუმენტის 3.3. ქვეპუნქტის თანახმად;

4.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – **C1 დონე;**

ბ) უცხო ენის ცოდნა: სასურველია ინგლისური ენის B1 ან მაღალ დონეზე ფლობა ან/და სხვა უცხო ენების ცოდნა (უპირატესობა მიენიჭება);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

5. დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

5.1. **განათლება:** არანაკლებ სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

5.2. **სამუშაო გამოცდილება:** მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (**უპირატესობა ენიჭება** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში სპეციალობით მუშაობის ან ადვოკატად მუშაობის გამოცდილებას ან/და მოსამართლის/ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის მქონე პირს).

5.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**

5.3.1. საქართველოს კონსტიტუცია;

5.3.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

5.3.3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;

5.3.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

5.3.5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

5.3.6. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";

5.3.7. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";

5.3.8. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";

5.3.9. ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა;

5.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: სასურველია ინგლისური ენის B1 ან მაღალ დონეზე ფლობა ან/და სხვა უცხო ენების ცოდნა (უპირატესობა მიენიჭება);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.